პროგრამა დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 სექტემბრის N 6-40 დადგენილებით

# ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის

2. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ფსიქოლოგია, 0313

3. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

4. კვალიფიკაციის დონე: მეექვსე

5. სწავლების ენა: ქართული

6. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად) : ფსიქოლოგიის ბაკალავრი, Bachelor of Psychology

7. პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

8. პროგრამის ხელმძღვანელები: ქეთევან ლომსაძე, ნინო ლაბარტყავა

9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს.

10. პროგრამის მიზნები: ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, მისცეს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის მეცნიერების არსის და დანიშნულების, ასევე მისი ფუნდამენტური ცნებების, მიმართულებების, თეორიების და დარგების (განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია და სხვა) საფუძვლების შესახებ, მათ შორის - პიროვნების, მისი ქცევის მოტივაციური საფუძვლების, განვითარების, შემეცნების და სოციალიზაციის პროცესების შესახებ.
2. განუვითაროს ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები, აგრეთვე წინასწარ

განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვის, განხორციელების და მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე სათანადო დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.
3. განუვითაროს ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით, დარგში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციის უნარები;
4. გამოუმუშაოს ცოდნის განახლებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით პროფესიული საქმიანობის უნარი.

11. სწავლის შედეგები : ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

| | |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | 1. აღწერს ფსიქოლოგიის მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციებს, ფსიქოლოგიის დარგების (განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია და სხვა) სპეციფიკას, ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებს, ადამიანის განვითარების ეტაპებს, ქცევის კანონზომიერებებს, ემოციურ და კოგნიტურ მახასიათებლებს, პიროვნების თეორიებს, ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს, ფსიქოდიაგნოსტიკისა და ფსიქოთერაპიის საფუძვლებს, პროფესიული ეთიკის საფუძვლებს;<br>2. განსაზღვრავს ბაზისური ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის დარგების ძირითად ცნებებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და თეორიებს, ფსიქოლოგიის ზოგიერთ უახლეს ასპექტებს, ფსიქოლოგიის ბაზისური და გამოყენებითი დარგების პრობლემურ საკითხებს, ასევე პროფესიის მნიშვნელობას, მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს. |
| **უნარი** | 3. ამოიცნობს ფსიქოლოგიის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებულ პრობლემებს და იყენებს ფსიქოლოგიის სფეროში არსებული შემოქმედებითი, ლოგიკური ანალიზის მეთოდებსა და პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად;<br>4. აგროვებს და განმარტავს ფსიქოლოგიისთვის დამახასიათებელ მონაცემებს, აანალიზებს განყენებულ მონაცემებს და სიტუაციებს ფსიქოლოგიის დარგის კვლევისა და ზოგიერთი უახლესი ბაზისური სტატისტიკური მეთოდის (საკვლევი ჯგუფების შერჩევა, ინფორმაციის მოგროვება და მონაცემთა პირველადი დამუშავება) გამოყენებით და აყალიბებს სათანადო დასკვნებს, შესაბამისი სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით;<br>5. მსჯელობს შესაბამისი ტერმინოლოგიით ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ; |

| | |
|---|---|
| | 6. შეიმუშავებს ფსიქოლოგიის სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | 7. ცოდნის მუდმივად განახლების გზით ანვითარებს საკუთარ პროფესიულ უნარებს, კომპეტენციის არეალს, შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.<br>8. პროფესიული საქმიანობისას მოქმედებს პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით. |

## 12. დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები:

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა შესაძლებელია იმუშაოს ყველა ტიპის დაწესებულებაში, მათ შორის ნებისმიერი პროფილის ფსიქოლოგიური დახმარების დაწესებულებაში, იმ თანამდებობაზე, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნასაც აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

## 13. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა გულისხმობს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას, რომელიც მოიცავს დატვირთვის სხვადასხვა სახეებს (ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მეცადინეობას, ელექტრონულ სწავლებას და სხვ). პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და ხერხები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**სალექციო მეთოდი** - წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს. იგი მსმენელისათვის გადაცემული საბაზო თეორიული ინფორმაციის საფუძველზე ქმნის საგნის შემდგომში დამოუკიდებლად შესწავლის წინაპირობას.

***ჯგუფში/ჯგუფური მუშაობის მეთოდი*** **(collaborative)** - აქტიურად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა და მიდგომების მოძებნა. ასევე, როდესაც საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. იგი საჭიროებს ისეთ უნარებს, როგორიცაა მოსმენა, ინსტრუქციის დაცვა, უკუკავშირი, თანამშრომლობა, აზრის გაზიარება. ვინაიდან ჯგუფი რამდენიმე ადამიანს აერთიანებს, ჯგუფური მუშაობის დაწყებისას საჭიროა ჯგუფის მუშაობის წესების და ნორმების ჩამოყალიბება, რომელსაც ჯგუფის წევრები დაიცავენ; ეს ნორმები უნდა არეგულირებდეს ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას და ყველა წევრს თანაბარი მონაწილეობის საშუალებას უნდა აძლევდეს;

– ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის პრობლემის არსს.

**პრეზენტაცია**- არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთაინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**პრაქტიკული მეთოდები** – გულისხმობს სტუდენტების პრაქტიკულ მოქმედებებს, რომელიც ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე. აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკას. პრაქტიკა ითვალისწინებს პრაქტიკულ მეცადინეობას ფსიქოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიაში ან ორგანიზაციებში.

***დისკუსია-*** წარმოადგენს სწავლების მეთოდს, როდესაც (როგორც წესი) ლექტორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სხვადასხვა წინადადების, მიდგომის, იდეის, პრობლემების გადაჭრის მეთოდების ჯგუფური განხილვა და ნიშნავს საწინააღმდეგო პოზიციების პოლემიკას, სხვადასხვა აზრის ზეპირ (იშვიათად წერით) გამოხატვას. დისკუსია მიმდინარეობს ლექტორსა და სტუდენტებს, ან უფრო იშვიათად, მხოლოდ სტუდენტებს შორის.

***დებატები***-მსგავსია დისკუსიის, მაგრამ განსხვავდება მისგან სტრუქტურირების მაღალი ხარისხით. ეს მეთოდი გულისხმობს ისეთი თემის (საკითხის) განხილვას, რომლის მიმართ არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია (მოსაზრება) და სტუდენტთა დაყოფას ორ ჯგუფად ისე, რომ ერთი ჯგუფი მხარს უჭერს (წარმოადგენს) ერთერთ პოზიციას, ხოლო მეორე - საწინააღმდეგოს.

***გონებრივი იერიში*** -წარმოადგენს ჯგუფური შემოქმედებითი მუშაობის მეთოდს, რომლის მიზანია კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალური რაოდენობის იდეების გენერირება და განხილვა. გონებრივი იერიშის ყველა იდეა, ცხადია, რომ საბოლოო შედეგისათვის არ არის მნიშვნელოვანი; იდეების შეგროვების შემდეგ ხდება ამ იდეების დაჯგუფება პრიორიტეტების მიხედვით და რამოდენიმე ყველაზე ღირებული იდეის გამოკვეთა.

***როლური და სიტუაციური თამაშები*** - როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.

***შემთხვევების განხილვა და ანალიზი*** - წარმოადგენს მეთოდს, რომელიც კონკრეტული რეალური ან სიმულირებული სიტუაციის (შემთხვევის) განხილვის გზით მიზნად ისახავს საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლას.

***ევრისტიკული მეთოდი***- გულისხმობს, რომ მასწავლებლის მიერ დასმული პრობლემის ირგვლივ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სტუდენტებმა უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი დასკვნები, განახორციელონ გარკვეული განზოგადოებები, გამოავლინონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და კანონზომიერებები, არსებითი განსხვავებები და პრინციპიალური მსგავსობები.

***წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა***- შესაძლებელია ხორციელდებოდეს მასწავლებლის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად. არსებობს წიგნზე მუშაობის სხვადასხვა ხერხები: ***კონსპექტირება, ტექსტის გეგმის შედგენა, ტესტირება, ციტირება, ანოტაცია, რეცენზია, ცნობის შედგენა, ფორმალურ-ლოგიკური მოდელის შედგენა.***

***ინდუქცია*** -გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, კერძო ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული.

***დედუქცია***- გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ არის მიმართული.

***ანალიზი*** - გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რითაც მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;

სინთეზი- გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

• დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
• ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
• მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/ხერხების გამოყენებაც. სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.

## 14.საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა და სასწავლო კურსების სილაბუსები:

(იხ. დანართი 1 ).

## 15.საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების მატრიცა და კურიკულუმის რუკა.

(იხ. დანართი 2).

## 16. სტუდენტთა შეფასების სისტემა:

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხორციელდება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსში.
3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მე-8 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.
5. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
6. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსში. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის ჯამი არ არის 51 ქულაზე ნაკლები, ხოლო დასკვნითი შეფასების

მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

7. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი განხორციელდა.

8. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

9. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

11. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

## 17.პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

სასწავლო პროცესს წარმართავენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მაღალი კვალიფიკაციის, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები:

| გვარი, სახელი | თანამდებობა | საკონტაქტო ინფორმაცია |
| --- | --- | --- |
| 1.შერაზადიშვილი მარიკა | პროფესორი | Marika51marika@gmail.com<br>577251217 |
| 2.ლომსაძე ქეთევან | ასოცირებული პროფესორი | ketilomsadze@gmail.com<br>599629996 |
| 3.ლაბარტყავა ნინო | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი) | nina.labartkava@gmail.com<br>577555848 |
| 4.ტოლიაშვილი ბექა | ასოცირებული პროფესორი | btoliashvili@gmail.com<br>599911121 |

| | | |
|---|---|---|
| 5.ცხვედაძე ნანული | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი) | nanacxvedadze@gmail.com 551685222 |
| 6.მაყაშვილი ქეთევან | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი) | Ketevan_makashvili@gmail.com 893270403 |
| 7.შანავა ინა | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი) | i.shanava@yahoo.com 599413341 |
| 8.ჯიჯიხია რუსუდან | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი) | rusudanjijikhia@gmail.com 599501619 |
| 9.აბრამიშვილი ნუგზარ | პროფესორი | nabramishvili@gmail.com 577 151 212 |
| 10. დურული ციური | პროფესორი | Ts.duruli@gmail.com 577251221 |
| 11. გიგაშვილი ეკატერინე | პროფესორი | ekagigashvili@gmail.com 577151221 |
| 12. ქოქაშვილი ნანული | ასოცირებული პროფესორი | nanulikokaashvili@gmail.com 551 33 26 75 |
| 13. უბირია მარიამ | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი) | ubiriamatika@mail.ru 599 -32-85-21 |
| 14. მშვიდობაძე თინათინ | ასოცირებული პროფესორი | tinikomshvidobadze@gmail.com 555118379 |
| 15. ბერუაშვილი ნინო | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორანტი) | ninaberuashvili@gmail.com 577602717 |
| 16. მირაზანაშვილი ნოდარ | ასოცირებული პროფესორი | nmirazanashvili@gmail.com 599180717 |
| 17. ზურაბ ჩხიკვაძე | პროფესორი | zura_gsu@yahoo.com 599951895 |
| 18. გორგიშელი ნინო | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი) | gorgishelinino@yahoo.com 95 35 08 57 |
| 19. დავითაშვილი ნინო | მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი) | n.davitashvili@gmail.com 599 20 89 02 |

**18.პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით და საკონფერენციო დარბაზებით;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკით და სამკითხველოებით;

- კომპიუტერული კლასებით, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამებით და სხვ;
- საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

## 19.პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა:

საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება და მისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა ხორციელდება ფაკულტეტის შემოსავლებიდან, რაც გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში. იგი მიმართულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი და არაწიგნადი ფონდების შევსებაზე პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით, სტუდენტთა აქტივობის წახალისებაზე, ინტელექტუალური რესურსის მოზიდვაზე და სხვ.

## *ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა*

(240 კრედიტი)

სწავლების ვადა 4 სასწავლო წელი (2021-2025)

| კურსის/მოდულის დასახელება | | კურსის/მოდულის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი | წინაპირობები | კრედიტების საერთო რაოდენობა | საათების რაოდენობა სტუდენტის დატვირთვის სახეების მიხედვით | | | | | | საათების საერთო რაოდენობა | კრედიტების განაწილება სწავლების წლებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ლექცია | ჯგუფში მუშაობა | პრაქტიკული | ლაბორატორიული | შუალედური და დასკვნითი გამოცდები | დამოუკიდებელი მუშაობა | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | |
| | | | | | | | | | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | VII სემესტრი | VIII სემესტრი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| **ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (136 ECTS)** | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (111 ECTS) | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | ზოგადი ფსიქოლოგია I | ””” | - | 5 | 13 | | 26 | | 7 | 79 | 125 | 5 | | | | | | | |
| 2 | ზოგადი ფსიქოლოგია II | ””” | 1 | 5 | 13 | | 26 | | 7 | 79 | 125 | | 5 | | | | | | |
| 3 | ფსიქოლოგიის ისტორია | ””” | - | 5 | 13 | 26 | | | 7 | 79 | 125 | | 5 | | | | | | |
| 4 | ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლები | ””” | - | 5 | 13 | 26 | | | 7 | 79 | 125 | 5 | | | | | | | |
| 5 | სტატისტიკის საფუძვლები | ””” | - | 5 | 13 | | 26 | | 7 | 79 | 125 | | 5 | | | | | | |
| 6 | კვლევის მეთოდები | ””” | - | 5 | 13 | 13 | 13 | | 7 | 79 | 125 | | 5 | | | | | | |
| 7 | განვითარების ფსიქოლოგია I | ””” | 2 | 5 | 13 | 26 | | | 7 | 79 | 125 | | | 5 | | | | | |
| 8 | განვითარების ფსიქოლოგია II | ””” | 7 | 5 | 13 | 26 | | | 7 | 79 | 125 | | | | 5 | | | | |
| 9 | სოციალური ფსიქოლოგია | ””” | 2 | 5 | 13 | 13 | | | 7 | 92 | 125 | | | 5 | | | | | |
| 10 | განწყობის ფსიქოლოგია I (კლასიკური) | ””” | 2, 13 | 5 | 13 | 13 | 13 | | 7 | 79 | 125 | | | | | | 5 | | |
| 11 | ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები | ””” | 9 | 6 | 26 | 13 | 13 | | 7 | 91 | 150 | | | | | 6 | | | |
| 12 | ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები | ””” | 8 | 5 | 13 | 13 | | | 7 | 92 | 125 | | | | | 5 | | | |
| 13 | პიროვნების ფსიქოლოგია | ””” | 2 | 5 | 13 | | 13 | | 7 | 92 | 125 | | | | 5 | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | ნეიროფსიქოლოგია | | ”” | 2,4,19 | 5 | 13 | 26 | | | 7 | 79 | 125 | | | | | | | | 5 |
| 15 | ქცევის გამოყენებითი ანალიზი | | ”” | - | 5 | 13 | | 13 | | 7 | 92 | 125 | | | | | | 5 | | |
| 16 | განათლების ფსიქოლოგიის საფუძვლები | | ”” | 8 | 5 | 13 | 13 | | | 7 | 79 | 125 | | | | | | 5 | | |
| 17 | პათოფსიქოლოგია | | ”” | 13 | 5 | 13 | 26 | | | 7 | 79 | 125 | | | | | | | 5 | |
| 18 | ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები | | ”” | 6, 13 | 5 | 13 | 13 | 13 | | 7 | 79 | 125 | | | | | | | 5 | |
| 19 | კოგნიტური ფსიქოლოგია | | ”” | 11 | 5 | 13 | 13 | 13 | | 7 | 79 | 125 | | | | 5 | | | | |
| 20 | ფსიქოთერაპიის საფუძვლები | | ”” | 13,18 | 5 | 13 | 13 | 13 | | 7 | 79 | 125 | | | | | | | | 5 |
| 21 | პრაქტიკა | | ”” | 6,8,13 ,15,18 | 10 | | 13 | 104 | | 3 | 130 | 250 | | | | | | | | 10 |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (25 ECTS) | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 22 | არჩევითი I | სტრესის ფსიქოლოგია | არჩ. | - | 5 | 13 | | 26 | | 7 | 79 | 125 | | | 5 | | | | | |
| | | სოციალური სტატისტიკა | | 5 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | პედაგოგიკის - საფუძვლები | | - | | | | | | | | | | | | | | | | |
| 23 | არჩევითი II | იურიდიული ფსიქოლოგია | არჩ. | 2 | 5 | 13 | 13 | | | 7 | 92 | 125 | | | | | 5 | | | |
| | | კონფლიქტის ანალიზი და მართვა | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 24 | არჩევითი III | განწყობის ფსიქოლოგია II (ანტროპული) | ”” | 10 | 5 | 13 | 13 | 13 | | 7 | 79 | 125 | | | | | | | 5 | |
| | | ინკლუზიური განათლება | | - | | | | | | | | | | | | | | | | |
| 25 | არჩევითი IV | კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია | არჩ. | 13 | 5 | 13 | | 13 | | 7 | 92 | 125 | | | | | | 5 | | |
| | | სოციალურ ფსიქოლოგიური გავლენა | | 9 | | | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26 | | ემოციის ფსიქოლოგია | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 26 | არჩევითი V | ეკონომიკური ფსიქოლოგია | არჩ. | 2 | 5 | 13 | 13 | | | 7 | 92 | 125 | | | | | | | 5 | |
| | | საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიური სამსახური | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | |
| თავისუფალი კომპონენტი (104 ECTS) | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (44 ECTS) | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | საბაზისო სასწავლო კურსები (20 ECTS) | ფილოსოფიის შესავალი | სავალ. | - | 5 | 13 | 13 | | | 7 | 92 | 125 | 5 | | | | | | | |
| 2 | | წერითი და ზეპირი კომუნიკაციები | ״״ | - | 5 | 13 | | 26 | | 7 | 79 | 125 | 5 | | | | | | | |
| 3 | | კომპიუტერული უნარ-ჩვევები | ״״ | - | 5 | | | 39 | | 7 | 79 | 125 | | 5 | | | | | | |
| 4 | | სოციოლოგიის საფუძვლები | ״״ | - | 5 | 13 | 26 | | | 7 | 79 | 125 | 5 | | | | | | | |
| 5 | ინგლისური ენის კომპონენტი (24 ECTS) | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი I | ״״ | - | 5 | | 26 | 26 | | 7 | 66 | 125 | 5 | | | | | | | |
| 6 | | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი II | ״״ | 5 | 5 | | 26 | 26 | | 7 | 66 | 125 | | 5 | | | | | | |
| 7 | | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი III | ״״ | 6 | 5 | | 26 | 26 | | 7 | 66 | 125 | | | 5 | | | | | |
| 8 | | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი IV | ״״ | 7 | 5 | | 26 | 26 | | 7 | 66 | 125 | | | | 5 | | | | |
| 9 | | დარგობრივი ინგლისური | ״״ | 8 | 4 | 13 | | 26 | | 7 | 54 | 100 | | | | | 4 | | | |
| თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (60 ECTS) | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები | | არჩ. | | 60 | | | | | | | 1500 | | | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ კრედიტების რაოდენობა | | 240 | | | | | | | | | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
| | | | | | | | | | | | 60 | | 60 | | 60 | | 60 | |
| სულ საათების რაოდენობა | | 6000 | | | | | | | | | 750 | 750 | 750 | 750 | 750 | 750 | 750 | 750 |
| | | | | | | | | | | | 1500 | | 1500 | | 1500 | | 1500 | |

*სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები*

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება.
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

## ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტისაგან.

### ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (136 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების (A) და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების (B) სახით.

| (A) | ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (111 ECTS) |
|---|---|

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია ფსიქოლოგიის სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, შეძენილი ცოდნის

| | |
|---|---|
| მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 111 კრედიტი, მათ შორის 10 კრედიტი პრაქტიკის ხარჯზე. | |
| (B) | ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (25 ECTS) |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნის  გაღრმავებაზე. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი. | |
| **თავისუფალი კომპონენტი (104 ECTS)** | |
| თავისუფალი კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების (საბაზისო  სასწავლო კურსები (C), ინგლისური ენის კომპონენტი (D)) და  არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (E). | |
| (C) | საბაზისო სასწავლო კურსები (20 ECTS) |
| საბაზისო სასწავლო კურსები გამოუმუშავებს სტუდენტს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების დაუფლებისათვის საჭირო საწყის უნარებს.  საბაზისო სასწავლო კურსების ხარჯზე  სტუდენტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი. | |
| (D) | ინგლისური ენის კომპონენტი (24 ECTS) |
| ინგლისური ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.<br><br>ინგლისური  ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 24 კრედიტის მოცულობით, 5 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ინგლისური ენის 20 კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტი  მიზნად ისახავს  ინგლისური ენის B1.1(pre-intermediate) დონიდან (ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (**CEFR**) შესაბამისად) B2/1(Intermediate)  დონის მიღწევას. სტუდენტი, რომელიც ვერ ფლობს ინგლისურ ენას B1.1(pre-intermediate) დონეზე, მისი ინგლისური ენის ფლობის დონის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ინგლისური ენის კომპონენტის შესწავლას იწყებს  A1 (Elementary) ან A2 (Elementary) დონიდან. აღნიშნული სასწავლო კურსების/კურსის გავლა სტუდენტს შეუძლია პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსების ფარგლებში.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისთვის,  რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის  B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 5 კრედიტის დაგროვება  „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი  IV“ -ის  ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე. | |
| B2 დონის შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატების და ქულების ნუსხა | |
| ტოიფელი (TOEFL PBT) | ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა |
| ტოიფელი (TOEFL IBT) | ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა |
| ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) | ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა |
| ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) | ცოდნის დონე: არანაკლებ FCE |
| (E) | თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (60 ECTS) |

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი 60 კრედიტის მოცულობით.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი დანართი 2

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

- ✓ *თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ შეფასება სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება.*

*2021-2022 წლის მიღება*

| სწავლის შედეგები | შეფასების (აკადემიური) წელი | საკვანძო სასწავლო კურსები | სწავლის შედეგების აღწერა | *სამიზნე ნიშნული* | კომპეტენციები | შეფასების მეთოდები |
|---|---|---|---|---|---|---|
| სშ 1 | 2024-2025 | პათოფსიქოლოგიის საფუძვლები<br>ფსიქოლოგიის ისტორია<br>პიროვნების ფსიქოლოგია<br>კვლევის მეთოდები<br>სტატისტიკის საფუძვლები | აღწერს ფსიქოლოგიის მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციებს, ფსიქოლოგიის დარგების (განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია და სხვა) სპეციფიკას, ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ფილოსოფიურ საფუძვლებს, ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებს, ადამიანის განვითარების ეტაპებს, ქცევის კანონზომიერებებს, ემოციურ და კოგნიტურ მახასიათებლებს, პიროვნების თეორიებს, ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს, ფსიქოდიაგნოსტიკისა და ფსიქოთერაპიის საკითხებს, პროფესიული ეთიკის საფუძვლებს, ასევე სტატისტიკისა და მონაცემთა დამუშავების საკითხებს; | 70% | ცოდნა და გაცნობიერება | ✓ პირდაპირი შეფასების მეთოდი - სასწავლო კურსების შეფასება შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების საფუძველზე;<br>✓ არაპირდაპირი შეფასების მეთოდი - სტუდენტების გამოკითხვა; |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სშ2 | 2023-2024 | განვითარების ფსიქოლოგია II<br>ზოგადი ფსიქოლოგია II<br>სოციალური ფსიქოლოგია | განსაზღვრავს ბაზისური ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის დარგების ძირითად ცნებებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და თეორიებს, ფსიქოლოგიის ზოგიერთ უახლეს ასპექტებს, ფსიქოლოგიის ბაზისური და გამოყენებითი დარგების პრობლემურ საკითხებს, ასევე პროფესიის მნიშნელობას, მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს. | | | |
| სშ3 | 2024-2025 | ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები<br>განწყობის ფსიქოლოგია I (კლასიკური)<br>კვლევის მეთოდები | ამოიცნობს ფსიქოლოგიის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებულ პრობლემებს და იყენებს ფსიქოლოგიის სფეროში არსებული შემოქმედებითი, ლოგიკური ანალიზის მეთოდებსა და პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად; | | | ✓ პირდაპირი შეფასების მეთოდი - სასწავლო კურსების შეფასება შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების საფუძველზე;<br>✓ არაპირდაპირიშ ეფასებისმეთოდი - სტუდენტების, გამოკითხვა |
| სშ4 | 2024-2025 | კვლევის მეთოდები<br>სტატისტიკის საფუძვლები<br>ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები | აგროვებს და განმარტავს ფსიქოლოგიისთვის დამახასიათებელ მონაცემებს, აანალიზებს განყენებულ მონაცემებს და სიტუაციებს ფსიქოლოგიის დარგის კვლევისა და ზოგიერთი უახლესი ბაზისური სტატისტიკური მეთოდის (საკვლევი ჯგუფების შერჩევა, ინფორმაციის მოგროვება და მონაცემთა პირველადი დამუშავება) გამოყენებით და აყალიბებს სათანადო დასკვნებს, შესაბამისი სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით; | 70% | უნარი | |
| სშ5 | 2023-2024 | სოციალური ფსიქოლოგია<br>პიროვნების ფსიქოლოგია | მსჯელობს შესაბამისი ტერმინოლოგიით საკუთარი იდეების, ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში იყენებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს. | | | |
| სშ6 | 2023-2024 | ფსიქოთერაპიის საფუძვლები | შეიმუშავებს ფსიქოლოგიის სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს, | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | განათლების ფსიქოლოგიის საფუძვლები | წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. | | | |
| სშ 7 | 2024-2025 | განვითარების ფსიქოლოგია | ცოდნის მუდმივად განახლების გზით ანვითარებს საკუთარ პროფესიულ უნარებს, კომპეტენციის არეალს,შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. | 70% | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | ✓ პირდაპირი შეფასების მეთოდი - სასწავლო კურსების შეფასება შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების საფუძველზე;<br>✓ არაპირდაპირიშეფასებისმეთოდი - სტუდენტების, კურსდამტავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა; |
| | | ნეიროფსიქოლოგია | | | | |
| სშ8 | 2024-2025 | ფსიქოთერაპიის საფუძვლები | პროფესიული საქმიანობისას მოქმედებს პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, სათანადო პასუხისმგებლობით. | | | |
| | | ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები | | | | |
| | | პრაქტიკა | | | | |

## კომპეტენციების რუკა

### მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

| პროგრამის მიზნები / სწავლის შედეგები | | სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| I | მოამზადოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, მისცეს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის მეცნიერების არსის და დანიშნულების, ასევე მისი ფუნდამენტური ცნებების, მიმართულებების, თეორიების და დარგების (განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია და სხვა) საფუძვლების შესახებ, მათ შორის - პიროვნების, მისი ქცევის მოტივაციური საფუძვლების, განვითარების, შემეცნების და სოციალიზაციის პროცესების შესახებ; | × | × | | | | | | |
| II | განუვითაროს ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები, აგრეთვე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვის, განხორციელების და მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე სათანადო დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით. | | | × | × | | × | | × |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| III | განუვითაროს ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით, დარგში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციის უნარები; | | | | | × | | | |
| IV | გამოუმუშაოს ცოდნის განახლებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით პროფესიული საქმიანობის უნარი. | | | | | | | × | × |

## სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

| სწავლის შედეგები / სასწავლო კურსები | | სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| I | ზოგადი ფსიქოლოგია I | × | × | | × | × | × | | |
| II | ზოგადი ფსიქოლოგია II | × | × | | × | × | × | | |
| III | ფსიქოლოგიის ისტორია | × | × | | × | × | × | | |
| IV | ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლები | × | × | | × | | × | | |
| V | სტატისტიკის საფუძვლები | × | × | × | × | | | | |
| VI | კვლევის მეთოდები | × | × | × | × | × | × | × | |
| VII | განვითარების ფსიქოლოგია I | × | × | | × | × | × | | |
| VIII | განვითარების ფსიქოლოგია II | × | × | | × | × | × | | |
| IX | სოციალური ფსიქოლოგია | × | × | | × | × | × | × | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| X | განწყობის ფსიქოლოგია (კლასიკური) | × | × | × | × | × | × | × | × |
| XI | ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები | × | × | × | × | | | | × |
| XII | ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები | × | × | × | × | | × | | |
| XIII | პიროვნების ფსიქოლოგია | × | × | × | × | × | × | × | |
| XIV | ნეიროფსიქოლოგია | × | × | × | | × | | | |
| XV | ქცევის გამოყენებითი ანალიზი | × | × | × | × | × | | | |
| XVI | განათლების ფსიქოლოგიის საფუძვლები | × | × | × | × | × | × | | |
| XVII | პათოფსიქოლოგიის საფუძვლები | × | × | × | × | × | × | | |
| XVIII | ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები | × | × | × | × | × | × | × | × |
| XIX | კოგნიტური ფსიქოლოგია | × | × | | × | × | | | |
| XX | ფსიქოთერაპიის საფუძვლები | × | × | × | × | × | × | × | × |
| XXI | პრაქტიკა | | | × | × | × | | × | × |

## *ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების რუკა*

სწავლების ვადა 4 სასწავლო წელი (2021-2025)

| N | სასწავლო კურსის დასახელება | წინაპირობები |
|---|---|---|
| **1** | **2** | **3** |
| 1 | ფილოსოფიის შესავალი | - |
| 2 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი I | - |
| 3 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი II | 2 |
| 4 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი III | 3 |
| 5 | ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი IV | 4 |
| 6 | დარგობრივი ინგლისური | 5 |
| 7 | წერითი და ზეპირი კომუნიკაციები | - |
| 8 | კომპიუტერული უნარ-ჩვევები | - |
| 9 | სოციოლოგიის საფუძვლები | - |
| 10 | ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლები | - |
| 11 | ზოგადი ფსიქოლოგია I | - |
| 12 | ზოგადი ფსიქოლოგია II | 11 |
| 13 | ფსიქოლოგიის ისტორია | - |
| 14 | სტატისტიკის საფუძვლები | - |
| 15 | კვლევის მეთოდები | - |
| 16 | განვითარების ფსიქოლოგია I | 12 |
| 17 | განვითარების ფსიქოლოგია II | 16 |
| 18 | სოციალური ფსიქოლოგია | 12 |
| 19 | განწყობის ფსიქოლოგია I (კლასიკური) | 2,22 |
| 20 | ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები | 18 |
| 21 | ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები | 17 |
| 22 | პიროვნების ფსიქოლოგია | 12 |
| 23 | ნეიროფსიქოლოგია | 12,10, |
| 24 | ქცევის გამოყენებითი ანალიზი | |
| 25 | განათლების ფსიქოლოგიის საფუძვლები | 17 |

| | | |
|---|---|---|
| 26 | პათოფსიქოლოგია | 22 |
| 27 | ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები | 15,22 |
| 28 | ფსიქოთერაპიის საფუძვლები | 22,27 |
| 29 | პრაქტიკა | 15,17,24, 22,27 |
| 30 | კოგნიტური ფსიქოლოგია | 12 |
| 31 | სტრესის ფსიქოლოგია | - |
| 32 | იურიდიული ფსიქოლოგია | 12 |
| 31 | კონფლიქტის ანალიზი და მართვა | 12 |
| 32 | ეკონომიკური ფსიქოლოგია | 12 |
| 33 | სოციალური სტატისტიკა | 14 |
| 34 | პედაგოგიკის საფუძვლები | - |
| 35 | ინკლუზიური განათლება | 34 |
| 36 | განწყობის  ფსიქოლოგია II (ანტროპული) | 19 |
| 37 | ემოციის ფსიქოლოგია | 12 |
| 38 | სოციალურ ფსიქოლოგიური გავლენა | 18 |
| 39 | საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიური სამსახური | 12 |
| 40 | კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია | 22 |